ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4559945

ნომერი: AR1687583

თარიღი : 14.06.2019

გაცემის თარიღი : 25.06.2019

გაცნობის თარიღი : 25.06.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ნატახტარი , N 20 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ნატახტარი , N20ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ინასარიძე პ/ნ 01017001114
- თბილისი ზ.ფალიაშვილის ქ. N 40 ბ. 3

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 17 იანვრის №4340071 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 14 ივნისს №AR1687583 განცხადებით მომართა გიორგი ინასარიძემ. განმცხადებელმა მოითხოვა სამსახურის 2019 წლის

17 იანვრის №4340071 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2019 წლის 17 იანვრის №4340071 ბრძანებით შეთანხმდა ქალაქი თბილისში, ქუჩა ნატახტარი N20-ში; ქალაქი თბილისში ნატახტარის ქუჩა N20ა; თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.10.17.013.027) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი.
სამსახურის 2019 წლის 07 მარტის №4402370 ბრძანებით ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 07 მარტიდან 2021 წლის 07 მარტის ჩათვლით.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს ცვლილების შეტანას სამსახურის 2019 წლის 17 იანვრის №4340071 ბრძანებაში, კერძოდ სურს, რომ -3.135 ნიშნულზე მდებარე ღია ავტოსადგომების ფართობი (59.2 კვ.მ) ცალკე ფართობად დაფიქსირდეს ბრძანებაში.
საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ შესაძლებელია სამსახურის 2019 წლის 17 იანვრის №4340071 ბრძანებას დაემატოს ღია ავტოსადგომების ფართი 59.2 კვ.მ.
სამსახურის 2019 წლის 14 ივნისის №AR1687583 განცხადებაზე წარმოდგენილია შპს ,,სიეიჩ ჯგუფი CH Group''-ის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 430027302) დირექტორის ვახტანგ მაღლაკელიძის მიერ განმცხადებლის სახელზე გაცემული 2019 წლის 04 იანვრის მინდობილობა, რომელიც გულისხმობს მინდობილი პირის წარმომადგენლობას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 17 იანვრის №4340071 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანის თაობაზე.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 17 იანვრის №4340071 ბრძანებაში, კერძოდ, სამსახურის 2019 წლის 17 იანვრის №4340071 ბრძანებას დაემატოს ღია ავტოსადგომების ფართობი: 59.2კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 17 იანვრის №4340071 ბრძანებით შეთანხმებული -3.135 ნიშნულის გეგმა ჩანაცვლდეს წინამდებარე ბრძანებაზე თანდართული ამავე ნიშნულის გეგმით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 17 იანვრის №4340071 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 17 იანვრის №4340071 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი ჟ. შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.